ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 03

2021 წელი 27 დეკემბერი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2021 წლის 27 დეკემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, ირინა ტყეშელაშვილი, გურამი ჩხეიძე, მურად ბურჯანაძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, ზაზა ზივზივაძე, დიომიდე კიკნაველიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, ჯუმბერ რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, ზვიად გუმბერიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ნინო კვირიკაძე, კახა კოხოძე, შალვა მშვილდაძე, ირაკლი გოგსაძე, ალექსანდრე ფახურიძე.

სულ: 24 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: შადიმან გორგოძე, ნინო მშვილდაძე, მაკა მესხი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა ენუქიძე - მუნიციპალიტეტის მერი.

მერაბ ზირაქაძე - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

ლერი გუმბერიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

მარეხი მშვენიერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ნატო ნატრიაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

უჩა გელხვიიძე -მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახურის უფროსი, განყოფილების უფროსი და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ-ის ხელმძღვანელები და ფინანსური მენეჯერები.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე.

სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

ნ. გიორგიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თანამომხსენებელი: მურად ბურჯანაძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2. "ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2022 წლის პროგრამისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ".

მომხს. მარეხი მშვენიერაძე -მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

3.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

თანამომხსენებელი- ნატო ნატრიაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

4.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

თანამომხსენებელი- ნატო ნატრიაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

5.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. უჩა გელხვიიძე -მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

6."ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. კახა გოგნაძე -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

თანამომხსენებელი-ზანდა ჯიხვაძე - ფაიქიძე, -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

7. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: მურად ბურჯანაძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

8.,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N 72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული
და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: მურად ბურჯანაძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე.

9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული
და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

10.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

11.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროsi

12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველ კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე -მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 24 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებმა: გვანცა გრძელიძემ, ზაზა ზივზივაძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, ირაკლი გოგსაძემ, გურამი კიკნაველიძემ, მურად ბურჯანაძემ, კახა ენუქიძემ, ნოდარი გიორგიძემ.

ირაკლი გოგსაძე - საკრებულოს წევრის ფრაქცია „ქართული ოცნება", იგი დაინტერესდა წლის ბოლოსათვის თავისუფალი თანხების არსებობით 2021 წლის ბიუჯეტში, რომ ეს თანხები მომავალში მეტად მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

მურად ბურჯანაძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - მან სხდომაზე წარმოადგინა კომისიის დასკვნა ახალ ბიუჯეტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ყველს შენიშვნა და რეკომენდაცია, რომელიც გაგზავნილი იქნა მუნიციპალიტეტის მერიაში პირველი ვარიანტის განხილვისას, გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომ კორექტირებული ბიუჯეტი განხილული იქნა საკრებულოს ყველა კომისიის გაფართოებულს სხდომებზე,

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-23 წინააღმდეგი- 1 (წინო კვირიკაძე - „გახარია-საქართველოსათვის)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება: N 21 დადგენილება:დ-67.67213618 თარიღი: 27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. . "ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2022 წლის პროგრამისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ".

დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: მარეხი მშვენიერაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: მაია კბილაშვილმა, ბიძინა ჯაბიძემ, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარი გიორგიძემ ირინა ტყეშელაშვილმა.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო: საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება: N 22 დადგენილება:დ-67.67213617 თარიღი:27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 23 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა- ნატო ნატრიაშვილმა.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს სხდომას გააცნო: გვანცა გრძელიძემ- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 23 დადგენილება:დ-67.67213616 თარიღი:27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 23 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. . „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა: მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა- ნატო ნატრიაშვილმა.
საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წარუდგინა: გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 24 დადგენილება:დ-67.67213611 თარიღი:27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა დ ინსპექტირების სამსახურის ახალი დებულება საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: უჩა გელხვიიძემ-მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
კომისიის დასკვნა დებულების განხილვასთან დაკავშირებით სხდომას გააცნო-გვანცა გრძელიძემ
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 25 დადგენილება:დ-67.67213615 თარიღი:27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. "ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა საკრებულოს სხდომას წარუდგინა - **კახა გოგნაძემ -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა**
კომისიის დასკვნა საშტატო ნუსხის განხილვასთან დაკავშირებით სხდომას გააცნო-**გვანცა გრძელიძემ**
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 26 დადგენილება:დ-67.67213614 თარიღი:27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 7. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა- გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 27 დადგენილება:დ-67.67213613 თარიღი:27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 8. ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N 72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების ცვლილების პროექტი სხდომას გააცნო: გვანცა გრძელიძე, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.
აზრი გამოთქვა:
ვლადიმერ წიქორიძემ - საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მან დააყენა წინადადება, საკრებულოს წევრებს, რომლებიც საკრებულოში არ იკავებენ თანამდებობას ხარჯებისათვის მისცემოდათ საკრებულოს თავმჯდომარის სარგოს მაქსიმალური 15 %, რაც შეადგენდა ნაცვლად პროექტში აღნიშნული 600 ლარისა 675 ლარს.
ვ. წიქორიძის წინადადება გაზიარებული იქნა საკრებულოს უმრავლესობის მიერ და აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური განიხილავდა დამატების შესაძლებლობას და რესურსის არსებობის შემთხვევაში საკრებულოს 2022 წლის იანვრის მორიგ სხდომაზე დაუბრუნდებოდა აღნიშნულ საკითხს.
საკრებულოს სხდომამ დადგენილების პროექტი დაამტკიცე წარმოდგენილი შინაარსით.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 28 დადგენილება:დ-67.67213612 თარიღი:27.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 23 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 81 განკარგულება: გ-67.67213614 თარიღი: 27.12.2021წ (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-23 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი ობიექტები წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.
თორნიკე გაჩეჩილაძემ - საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „კომისიაზე იყო განსხვავებული აზრი რკინა ბეტონის მილების გაყიდვასთან დაკავშირებით, რომ თუ კი ვარგისა გამოყენებული ყოფილიყო სოფლებში არსებული საჭიროებისათვის, რასაც კომისიამ მხარი დაუჭირა. როგორც თ. გაჩეჩილაძემ აღნიშნა კომისიის სხდომის შემდეგ მან პირადად ნახა აღნიშნული მილები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიძველის გამო შესაძლებელია სოფლის საჭიროებისათვის აღარ გამოდგეს და როგორც კომისიის თავმჯდომარე მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოხდეს მისი პრივატიზება და საკრებულოს სხდომამ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება“.

აზრი გამოთქვა: კახა ენუქიძემ - მუნიციპალიტეტის მერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული მილები ხანდაზმულია, საჭიროებს სპეციალური ტექნიკის დაქირავებას მის ამოსაღებად და შემდგომი ტრანსპორტირებისათვის, ჩვენი გაანგარიშებით იგი არა რენტაბელურია მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის.“
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 82 განკარგულება: გ-67.67213613 თარიღი: 27/12/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-23 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 11. . ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.
განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს გააცნო: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.
კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო; თორნიკე გაჩეჩილაძემ.
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს გააცნო: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.
კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო; თორნიკე გაჩეჩილაძემ.
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 83 განკარგულება: გ-67.67213612 თარიღი: 27/12/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-23 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 12. . ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველ კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
გვანცა გრძელიძე -მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 84 განკარგულება: გ-67.67213611 თარიღი: 27/12/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-23 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**